



**FORWARD
FASTER**

FORWARD FASTER

სამოქმედო გზამკვლევი

წყლის რესურსების

მდგრადობის მისაღწევად

შესავალი

Forward Faster ინიციატივის სამოქმედო გზამკვლევი განკუთვნილია კომპანიებისთვის, რომლებმაც აიღეს ან განიხილავენ წყლის მდგრადობის მიღწევის ვალდებულებების ადგებას. მასში იხილავთ მიზნობრივ დეტალებს, მნიშვნელოვან განმარტებებს, პრაქტიკულ მაგალითებსა და ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს (KPIs), იმ შუალედური მიზნების, რესურსებისა და შესაძლებლობების ჩათვლით, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც 2030 წლის მიზნების მისაღწევად განსაზღვრავენ თავიანთ სტრატეგიას.

კონტექსტი

Forward Faster წყლის მდგრადობის მიზანი (The Forward Faster Water Resilience Target) შეესაბამება CEO წყლის მანდატის (CEO Water Mandate) ვალდებულებების სფეროებს. CEO წყლის მანდატი არის გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივა წყნარი ოკეანის ინსტიტუტთან პარტნიორობით, რომელიც წყლის რესურსების კორპორაციული მართვის გზით, ცდილობს მოახდინოს ბიზნეს ლიდერების კრიტიკული მასის მობილიზება წყლის გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად. თქვენი კომპანიის მიერ 2030 წლის მიზნის მიღწევის დასაგეგმად, დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით CEO წყლის მანდატის გუნდს (ელ. ფოსტა: CEOWATERMANDATE@UNGLOBALCOMPACT.ORG)

წყლის გლობალური კრიზისი 21-ე საუკუნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა, რომელიც წარმოადგენს ჰუმანიტარულ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ პრობლემას. ორ მილიარდზე მეტ ადამიანი განიცდის უსაფრთხო სასმელი წყლის ნაკლებობას, ხოლო 2030 წლისთვის, სხვაობა პროგნოზირებულ წყალმომარაგებასა და მოთხოვნას შორის იქნება 40 პროცენტი. წყალთან დაკავშირებული გამოწვევების შედეგად, 2050 წლისთვის ზოგიერთ რეგიონში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შესაძლოა ექვსი პროცენტით შემცირდეს. გარდა ამისა, მტკნარი წყლის ეკოსისტემები განიცდის სწრაფ დეგრადაციას და მათი ფუნქციებისა და ბიომრავალფეროვნების დაქვეითებას. კლიმატის ცვლილება ხელს უწყობს ამ რისკების გამწვავებას, რაც კიდევ უფრო ზრდის გადაუდებელი ქმედებების საჭიროებას.

ყველა სახის ბიზნესი წყალზეა დამოკიდებული - ზოგი უფრო მეტად, ვიდრე სხვები. კომპანიების უმეტესობა იყენებს წყალს, როგორც კრიტიკულ რესურს მათი პროდუქტის წარმოებასა და მომსახურებაში, ისევე როგორც უშუალო საქმიანობაში დაიწოდების ჯაჭვებში. შედეგად, კერძო სექტორი წყლის კორპორაციული მართვით მნიშვნელოვან როლს ასრულებს წყლის მდგრადობის გაუმჯობესებაში.

ბიზნესები ხშირად მოქმედებენ როგორც წყლის რესურსების კერძო ოპერატორები და შესაბამისად, ვალდებულები არიან მართონ წყლის რესურსები ეფექტიანად, რაციონალურად და სამართლიანად. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესებმა მილიარდები დააბანდეს წყლის პრობლემის გადაჭრაში, მიმდინარე ინვესტიციები და მიღწეული პროგრესი აშკარად არ არის საკმარისი. წყლის რესურსებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შეიძლება გაზარდოს ხარჯები პროდუქტებსა და სესხებზე, ასევე შექმნას რისკები ბიზნესის მდგრადობისა და მარეგულირებელი ჩარჩოებისთვის, თანამშრომელთა და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. აქედან გამომდინარე, ზომების მიღება წყლის მდგრადობის უზრუნველსაყოფად როგორც ბიზნეს საქმიანობაში დამიწოდების ჯაჭვებში აუცილებელია კომპანიის გრძელვადიანი კეთილდღეობისთვის. ზომების მიღება ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანებისა და ბუნების კეთილდღეობისა და სამართლიანი მომავლის უზრუნველსაყოფად.

მდგრადი წყლის სისტემები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს კოლექტიურ უნარზე, მივადწიოთ უფრო ფართო, მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs), სასურსათო უსაფრთხოების, ადამიანის ჯანმრთელობის, ბიომრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობის და სხვა პრიორიტეტების მხარდაჭერის ჩათვლით. საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა გადამწყვეტია საერთო მიზნების მისაღწევად და სხვა მდგრადი განვითარების მიზნებისთვის წყლის უსაფრთხოების თანასარგებლობის უზრუნველსაყოფად. წყლის გლობალური კრიზისის მოსაგვარებლად, ბიზნესებმა უნდა იმოქმედონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე შეუერთდნენ სხვა ბიზნესების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობების კოლექტიურ ქმედებებს ყველა დონეზე, რათა გააუმჯობესონ ვითარება დატვირთულ წყლის აუზებში.

წყლის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზანი

გლობალურ ოპერაციებსა და მიწოდების ჯაჭვებში წყლის რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა და საერთოდალისხმევის გაძლიერება 2030 წლისთვის მინიმუმ 100 პრიორიტეტულ მოწყვლად წყლის აუზზე კოლექტიური, დადებითი ზემოქმედების მისაღწევად.

მიზნის მნიშვნელოვანი ტერმინებისა და მასში შემავალი ელემენტების განმარტება:

2030 წლისთვის 100 პრიორიტეტული აუზის წყლის რესურსებზე კოლექტიური პოზიტიური ზემოქმედების მისაღწევად, კომპანიებმა უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, გაიზიარონ გამოცდილება და გაზომონ ზეგავლენა საერთო, დადასტურებული მიდგომის გამოყენებით. ამ მიზნით, Forward Faster წყლის მდგრადობის მიზნის (Forward Faster Water Resilience Target) მისაღწევად, კომპანიები უნდა შეუერთდნენ CEO წყლის მანდატის ინიციატივას.

100 აუზი:

- 100 აუზის სიის შედგენისას, წყლის მართვის კორპორაციული ინიციატივები მიზნად ისახავდა წყლის ხარისხის, წყლის რაოდენობისა და წყლის ხელმისაწვდომობის მაღალი რისკის მქონე აუზების იდენტიფიცირებას. ასევე, გათვალისწინებული იყო ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და მომავალი კლიმატის ცვლილების რისკები გვალვებისა და წყალდიდობების კუთხით. პრიორიტეტულობის შემდეგი მაჩვენებელი იყო ეკონომიკური რელევანტურობა, მნიშვნელოვანი კორპორაციული ჩართულობა, თანამშრომლობის ხელშეწყობა და პარტნიორობის გადრმავევა. გადამწყვეტი იყო ადგილობრივი პარტნიორების არსებობა იმ პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს წყლის რესურსებთან დაკავშირებული ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას და პოზიტიურ ცვლილებებს.
- კომპანიებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებებს, არ მოეთხოვებათ ღონისძიებების გატარება 100-ზე მეტ რეგულაციულ აუზზე, არამედ მხოლოდ იმათზე, რომლებიც იდენტიფიცირებული და დაპრიორიტეტებულია თავად კომპანიის მიერ პირდაპირი ბიზნეს ოპერაციების, მიწოდების ჯაჭვისა და ძირითადი ბაზრების ერთობლივი განხილვის საფუძველზე.
- ასევე აღიარებულია, რომ კომპანიებმა შეიძლება განახორციელონ წყლის რესურსების მდგრადი მართვის აქტივობები ან/და კოლექტიური ქმედებები 100 იდენტიფიცირებული აუზის საწყისი სიის მიღმა. ამიტომ, დროთა განმავლობაში, თანაორგანიზატორები გააფართოვებენ სიას, რათა უზრუნველყონ დადებითი გავლენის მქონე კოლექტიური ქმედებების ინტეგრირება.
- 100 პრიორიტეტული აუზის სია უნდა იყოს დინამიური და პასუხობდეს ცვლებად, პროგრესირებად წესებსა და პირობებს, რასაც კომპანია ან სხვა დაინტერესებული მხარე დააწესებს. მიზანი, რომელიც გულისხმობს 100 აუზზე დადებითი გავლენის მოხდენას არის "მეგზური ვარსკვლავი", რომელიც წარმართავს ჩვენს პრიორიტეტულ მიდგომებსა და მიზნებს წყლის რესურსების მდგრადობის მისაღწევად.
- CEO წყლის მანდატის (CEO Water Mandate) 100 პრიორიტეტული აუზის სია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე [WATER ACTION HUB](#).

დადებითი გავლენა წყალზე:

ფოკუსირებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიის ქმედებები ხელს შეუწყობს წყლის პრობლემების შერბილებას სამი მიმართულებით: წყლის რაოდენობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა. ეს უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ქმედებითი წვლილი აღემატებოდეს რეგიონში წყალზე მის ნეგატიურ ზემოქმედებას.

კომპანიის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPIs) და შუალედური მიზნების მაგალითები

კომპანიების ქმედებების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs) საოპერაციო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად:

წყლის რაოდენობა:

- წყლის გამოყენების ეფექტურობა (მეგალიტრი/წელი/საწარმოო ერთეული)
- წყლის მთლიანი მოხმარება მეგალიტრებში/წელიწადში ("ანგარიშგების გლობალური ინიციატივა"-GRI 303-5)

წყლის ხარისხი:

- სასარგებლო გამოყენებისათვის დახარჯული წყლის პროცენტი (ან მთლიანი მოცულობა) მეგალიტრებში/წელიწადში.
- დამაბინძურებლების დატვირთვის პროცენტული (ან მთლიანი) შემცირება დამაბინძურებლების მასაში/წელიწადში.

წყლის ხელმისაწვდომობა:

- დასაქმებულთა 100 პროცენტი უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასმელი წყლით, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით.

ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs) საქმიანობის გარემოსდაცვითი ნაკვალევით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, ტერიტორიის ხელმეორედ შესავსებად, აღსადგენად და გასაუმჯობესებლად

წყლის რაოდენობა:

- წყლის მოცულობითი სარგებელი / წყლის შევსების მიზანი მიღწეულია (მეგალიტრი/წელიწადში)

წყლის ხარისხი:

- დამაბინძურებლების კონცენტრაციის პროცენტული (ან მთლიანი) შემცირება დამაბინძურებლების მასაში/წელიწადში.
- წყლის მოცულობითი სარგებელი / წყლის აღდგენის მიზანი მიღწეულია (მეგალიტრი/წელიწადში)

წყლის ხელმისაწვდომობა:

- მოსახლეობის წილი, რომელიც იყენებს უსაფრთხოდ მართულ სასმელ წყალს (პროცენტი)
- მოსახლეობის წილი, რომელიც იყენებს უსაფრთხოდ მართულ სანიტარიულ მომსახურებას (პროცენტი)
- მოსახლეობის წილი, რომელიც იყენებს უსაფრთხოდ მართულ ჰიგიენურ სერვისებს (პროცენტი)

ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs) აუზებზე დადებითი ზემოქმედებისთვის: პროექტის პარტნიორებისა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ გამოვლენილი შედეგებისა და ზემოქმედების ინდიკატორები, მაგალითად:

წყლის რაოდენობა:

- აუზების მიწისქვეშა წყლების არამდგრადი მოხმარების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი
- აუზებში არამდგრადი სეზონური ზედაპირული წყლის მოხმარების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი

წყლის ხარისხი:

- აუზებიდან ამოღებული ზედმეტი ნუტრიენტების პროცენტული მაჩვენებელი
- აუზებიდან ამოღებული ჭარბი დამაბინძურებლების პროცენტული მაჩვენებელი
- აუზებში უსაფრთხოდ დამუშავებული ჩამდინარე წყლების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი

წყლის ხელმისაწვდომობა:

- მოსახლეობის პროცენტი, რომელიც იღებს ზღვრულ მომსახურებას წყალგამყოფში

ანგარიშგება

გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე კომპანიები, რომლებიც იღებენ ვალდებულებას, ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს გაეროს გლობალურ შეთანხმებას შემდეგ კითხვებზე პასუხებით: ეს მოხსენება საშუალებას მისცემს CEO წყლის მანდატს (CEO Water Mandate) შეაფასოს კოლექტიური გავლენა და შესაბამისობაში მოიყვანოს ბიზნესების ქმედებები

1. წყლის რესურსების კორპორაციული მართვის მიზნები

წყლის რესურსების განზომილება	აქვს თუ არა თქვენს კომპანიას მიზანი? (კი/არა)	რა არის მიზანი - მიუთითეთ მიზნის მიღწევის წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ეხება თუ არა მიზანი პირდაპირ ოპერაციებს? (კი/არა)	ეხება თუ არა მიზანი მიწოდების ჯაჭვს? (კი/არა)	ეხება თუ არა მიზანი ადგილობრივ თემებს ან მოსახლეობას (სადაც მუშაობთ ან არსებულ ბაზარზე)? (კი/არა)	პროგრესი მიზნის მისაღწევად საანგარიშო წელს.

წყლის რაოდენობა						
წყლის ხარისხი						
წყლის ხელმისაწვდომობა (WASH)						

2. გთხოვთ, მიუთითოთ ყველა დატვირთვის მქონე წყლის აუზი, სადაც თქვენი კომპანია საქმიანობს (CEO წყლის მანდატის 100 პრიორიტეტული აუზის სიიდან)

აუზები	აუზი 1	აუზი 2	აუზი 3	აუზი 4	აუზი 5	აუზი 6
	აუზი 7	აუზი 8	აუზი 9	აუზი 10	აუზი 11	აუზი 12

3. მიუთითეთ თქვენი კომპანიის 10 ყველაზე პრიორიტეტული დატვირთვის მქონე წყლის აუზი და მოქმედებები, რომლებშიც თქვენ ხართ ჩართულნი.

აუზი	ხართ თუ არა ჩართული ამჟამად? (კი/არა)	გეგმავთ თუ არა ჩართულობას? (კი/არა)	წყლის რაოდენობა	წყლის ხარისხი	წყლის ხელმისაწვდომობა (WASH)	პირდაპირი ოპერაციები	მიწოდების ჯაჭვი	თემები	წარმოადენს თუ არა ჩართულობა კოლექტიურ ქმედებას? (კი/არა)	დამატებითი ინფორმაცია

4. ჩამოთვალეთ ყველა სხვა აუზი CEO წყლის მანდატის 100 პრიორიტეტული აუზის მიღმა, სადაც თქვენი კომპანია ამჟამად არის ჩართული ან გეგმავს ჩართვას (WMO HydroSHEDs IV დონის აუზების სიიდან).

აუზი	ვართ აქტიურად ჩართულები	გეგმავთ ჩართვას

ღია კონკურსის პირობებში პროგრესის მონიტორინგის ძირითადი აქცენტი მიმართულია კომპანიების მიერ მიზნების მიღწევასა და პროგრესს ამ მიზნებთან მიმართებაში წყლის სამი განზომილების გათვალისწინებით: წყლის რაოდენობა, წყლის ხარისხი და წყლის ხელმისაწვდომობა. კითხვები ასევე ეხება პრობლემურ წყლის აუზებსა და მათ ფარგლებს გარეთ მიმდინარე ან/და პოტენციურ სამომავლო ზემოქმედების შეფასებას, თითოეული აუზის საჭიროებების გათვალისწინებით. პარალელურად, CEO Water Mandate შეიმუშავებს ციფრული მონიტორინგის სისტემებს.

მოქმედებები, რომელთა საშუალებითაც კომპანიებს შეუძლიათ დააჩქარონ პროგრესი

პირდაპირ ოპერაციებსა და მიწოდების ჯაჭვებში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიებს შეუძლიათ დროთა განმავლობაში დანერგონ სხვადასხვა პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება მათ ბიზნესს, მათ შორის:

პირდაპირ ოპერაციებში:

1. წყალის რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტების დანერგვა.
2. კონტექსტის და/ან მეცნიერების ინტეგრირება მიზნების დასახვის პრაქტიკაში. იმის გაცნობიერებით, რომ მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების დასახვის შესახებ მითითებები მტკნარი წყლისთვის გამოქვეყნდება მხოლოდ 2023 წლის დასაწყისში, კომპანიებს დასჭირდებათ გარკვეული დრო, რათა საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, შეაფასონ და განახორციელონ წყლის რესურსების მდგრადობასთან დაკავშირებული განახლებული მიზნები
3. წყლის გამოყენების ეფექტურობისა და ჩამდინარე წყლების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.
4. გამოცდილი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა წყლის ხელახალი გამოყენების, გადამუშავებისა და აღდგენისთვის.
5. თანამშრომლებისთვის წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე უსაფრთხო და საიმედო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (WASH).
6. კლიმატის, ენერჯეტიკისა და წყლის საერთო სარგებლიანობის ოპტიმიზაციისა და ეკოსისტემის დაცვის უზრუნველყოფილი გამოცდილების დანერგვა.

მიწოდების ჯაჭვებში:

1. მიწოდების ჯაჭვებში წყალსა და მის ზემოქმედებაზე ყველაზე დიდი დამოკიდებულების დადგენა და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფი შესაბამისი შიდა მიზნებისა და გეგმების დასახვა
2. წყლის დეფიციტურ აუზებში მუშაობა მომწოდებლებთან წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების, ჩამდინარე წყლების მართვის გასაუმჯობესებლად და სამუშაო ადგილზე წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უსაფრთხო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ერთობლივი მუშაობა შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სხვადასხვა მოქმედებას და აქტივობას, მათ შორის:

1. იმ წყლის აუზების ანალიზი (Mapping), სადაც თქვენი კომპანია საქმიანობს ან აქვს მნიშვნელოვანი ინტერესი, და, მოქმედებების კოორდინაციის მხარდასაჭერად, ამ ინფორმაციის გაზიარება CEO წყლის მანდატის სამდივნოსთვის (CEO Water Mandate Secretariat).
2. საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან მუშაობა, გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციისა და მონაცემთა გამჭვირვალობის საუკეთესო გამოცდილების დანერგვა.
3. ჩართულობა ადგილობრივ თემებთან - მათ შორის წინა ხაზზე მყოფ, მკვიდრ და ნაკლებად წარმოდგენილ თემებთან - მათი პირობების გასაუმჯობესებლად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით.
4. მთავრობებთან და დაფინანსების სააგენტოებთან თანადაფინანსების ახალი მექანიზმების იდენტიფიცირება და ხელშეწყობა დაფინანსების ხარვეზების აღმოსაფხვრელად. წყლის ხელახალი გამოყენების, გადამუშავებისა და ცირკულარულობის გამოცდილი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.
5. კომპანიების უნიკალური გამოცდილებისა და ინოვაციების გამოყენება ზედამხედველობისა და ძირითადი ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერით, რასაც შეუძლია ახალი ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილებების მეშვეობით, ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესება

სტრატეგიების განხორციელებისთვის საჭირო სასარგებლო რესურსები

- WATER ACTION Hub საწყისი 100 პრიორიტეტული აუზის ინტერაქციული რუკების, პოტენციური პარტნიორებისა და განმხორციელებლების მოსაძებნად.
- GUIDE TO WATER RELATED COLLECTIVE ACTION (გზამკვლევი წყალთან დაკავშირებული კოლექტიური მოქმედების შესახებ).
- GUIDE TO MANAGING INTEGRITY IN WATER STEWARDSHIP INITIATIVES. გზამკვლევი კეთილსინდისიერი მართვის შესახებ წყლის მართვის ინიციატივების ფარგლებში.
- აუზის დონეზე პოზიტიური ზეგავლენის შესაფასებელი აუზების ლიაგნოსტიკური გზამკვლევი
- მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების დადგენა მტკნარი წყლისთვის (SCIENCE-BASED TARGETS FOR FRESHWATER) და სხვა საკვანძო უზნებისთვის ხელს შეუწყობს შეფასებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, მიზნების დასახვას, შესაბამის აქტოვობებსა და მონიტორინგს.
- ბუნებასთან დაკავშირებული ფინანსური გამჟღავნების სამუშაო ჯგუფი (TASKFORCE FOR NATURE-RELATED FINANCIAL DISCLOSURES) წარმოადგენს რისკების მართვისა და გამჟღავნების ჩარჩოს, რათა გამოავლინოს, შეაფასოს, მოახდინოს რეაგირება და, საჭიროების შემთხვევაში, გაამჟღავნოს ბუნებასთან დაკავშირებული საკითხები.

- წყლის მართვის ალიანსის (AWS) წყლის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ALLIANCE FOR WATER STEWARDSHIP (AWS) INTERNATIONAL WATER STEWARDSHIP STANDARD) არის გლობალური ჩარჩო, რომელიც წყლის ძირითად მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაადგინონ მათ მიერ წყლის გამოყენების ზემოქმედება გარემოზე და ერთობლივად და გამჭვირვალედ იმუშაონ წყლის რესურსების მდგრად მართვაზე წყალმომარაგების კონტექსტში.
- წყლის გამოყენების კონტექსტუალური მიზნების (CONTEXTUAL WATER TARGETS) და წყლის გამოყენების საწარმოო დონის მიზნების (ENTERPRISE LEVEL WATER TARGETS) დადგენა.

გაეროს გლობალური შეთანხმების გეგმის განხორციელების სახელმძღვანელო პროგრამები

- **გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემია:** აკადემია არის გაეროს გლობალური შეთანხმების მთავარი სასწავლო პლატფორმა, რომელიც, მდგრადობის სტრატეგიის სწრაფად განსახორციელებლად, ბიზნეს-ლიდერებსა და მოქმედ სპეციალისტებს აუცილებელ ცოდნასა და უნარებს აძლევს. საკუთარ თავზე მორგებული, თვითსწავლებადი მოდული ეხმარება კომპანიებს, გაეცნონ სამართლიანი გარდაქმნის თემას და მათთვის მისაღები ტემპით მოემზადონ მოქმედებისთვის.
- **წყლის მდგრადობის კოალიცია (WATER RESILIENCE COALITION):** წყლის მდგრადობის კოალიცია (WRC) არის ინიციატივა წყლის გლობალური კრიზისის მოსაგვარებლად, რომელსაც ხელმძღვანელობენ წყლის მანდატის მქონე კომპანიების ლიდერები. მისი მიზანია გლობალური კორპორაციული დღის წესრიგის სათავეში დააყენოს წყლის მზარდ დატვირთვასთან და მასთან დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ზომები. WRC-ის წევრები მსოფლიო მტკნარი წყლის რესურსების შესანარჩუნებლად მუშაობენ წყლის დეფიციტურ აუზებში კოლექტიური ქმედებების განხორციელებითა და ამბიციური, გაზომვადი მიზნების დასახვით. უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

შესაძლებლობების გარემო

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევი მოქმედებების გასააქტიურებლად, კომპანიებს შეუძლიათ წახალისონ თავიანთი მთავრობები, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც მხარს დაუჭერს ამბიციური მიზნების მიღწევას Forward Faster ინიციატივის ფარგლებში და უზრუნველყოფს სიცხადესა და ნდობას, რაც საჭიროა შემდგომი ინვესტიციების წახალისებისთვის.

კომპანიებს ასევე შეუძლიათ მოუწოდონ მთავრობებს ბიზნეს-თანამეგობრობის მხარდასაჭერად, რათა გააქტიურდნენ წყლის პოლიტიკის 6 მიზნის მისაღწევად. კომპანიებს ასევე შეუძლიათ ამოქმედონ კერძო სექტორის ლიდერთა ქსელები და გააერთიანონ მათი გეგმები მე-6 მიზნის მისაღწევად - სუფთა წყალი და სანიტარია ყველასთვის და უსაფრთხო წყალი ყველასათვის 2030 წლისთვის.

ძირითადი საფუძვლები:

1. წყლის მდგრადი მართვისთვის ძლიერი საფუძვლის უზრუნველყოფა
2. წყლის შეფასებისა და მართვის მექანიზმების გაუმჯობესება
3. ზუსტ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სადემონსტრაციო გაუმჯობესების გასაღები:

4. ინოვაციების ხელშემწყობი ჩარჩოებისა და მიდგომების მობილიზება
5. დაფინანსების მექანიზმების მასშტაბის გაზრდა და შესაძლებლობების განვითარება
6. კოლექტიური მოქმედების ძალისხმევის გამოყენება

მთავრობის ძირითადი მოქმედებები მოიცავს:

1. წყლის მდგრადი მართვისთვის ძლიერი საფუძვლის უზრუნველყოფა

- მდებარეობისა და დროის მონაკვეთის გათვალისწინებით, წყლის ბალანსის განსაზღვრა აუზში ამჟამად არსებული და სამომავლოდ პროგნოზირებული წყლის ოდენობის სწორად შესაფასებლად, აგრეთვე მოცემულ აუზში მომხმარებლების მიერ წყლის მოხმარების მთლიანი მოცულობის განსაზღვრა, გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად საჭირო მოცულობის ჩათვლით.

- წყლის მოხმარების ლიმიტების დაწესება, ნალექების მრავალწლიანი მონაცემების (კლიმატის ზემოქმედების გათვალისწინებით) და პროგნოზირებული წყლის ხელმისაწვდომობის საფუძველზე. პირველ რიგში, ადამიანის ფუნდამენტური საჭიროებებისა და გარემოსდაცვითი სიკეთეების შესანარჩუნებლად, წყლის საჭირო რაოდენობის გამოყოფა და განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება სამართლიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
- პრიორიტეტის მინიჭება წყალსა და სანიტარიულ პირობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის, როგორც ადამიანის უფლებებისთვის (6.1 და 6.2 მიზნების მისაღწევად), ხოლო მოწყვლადი თემებისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ინვესტიციებისა და პოლიტიკის უზრუნველყოფის გზით.
- ვალდებულებების აღება და ინვესტიციების განხორციელება, რეალისტური ბიუჯეტის გამოყოფა დაბინძურებისგან წყლის ხარისხის დასაცავად (მიზანი 6.3), როგორც წერტილოვანი, ასევე არაწერტილოვანი წყაროებიდან. განახორციელებული ინვესტირება ჩამდინარე წყლების, ფეკალური ნალექის, წვიმისა და ურბანული ჩამონადენის გამწმენდი სისტემების გასაფართოებლად, გრძელვადიანი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის, ასევე მუქი ძალისხმევა მიმართეთ ისეთ ახალ დამაბინძურებელ ნივთიერებებთან ბრძოლაში, როგორიცაა პერ- და პოლიფტორალკილის ნაერთები (PFAS) და ფარმაცევტული პროდუქტები.
- ბუნებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (MEAs) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება და კოორდინაცია, როგორცაა Ramsar COP14, CBD CoP15 და COP 27, მტკნარი წყლის ეკოსისტემებისა და მათი წყალგამყოფების დაცვის, აღდგენის, მართვისა და საფრთხეების აღმოსაფხვრელად.

2. წყლის უკეთ შეფასებისა და მართვის მექანიზმების ამოქმედება

- წყლის კორპორაციული მართვის სტიმულირება, წყლის პრობლემების მოსაგვარებლად სანდო, გადამოწმებული კორპორაციული მოქმედებების დასაჩქარებლად - საერთაშორისო კონვენციებისა და პროტოკოლების მეშვეობით სავაჭრო პოლიტიკის ბერკეტების გაძლიერების ჩათვლით და მდგრადობასთან დაკავშირებული სავაჭრო მექანიზმების (როგორცაა სერტიფიკატები და სტანდარტები) მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობენ წყლის რესურსების მდგრად მართვას.
- ინვესტიციების მხარდაჭერა კლიმატგონივრულ, მდგრად და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობაზე გადასასვლელად. სოფლის მეურნეობის სექტორში დღევანდელი სუბსიდიების გადამისამართება ინვესტიციების მხარდასაჭერად, რაც უზრუნველყოფს ფერმერებისა და ფერმერული თემების განვითარებას კლიმატგონივრული, წყლის მდგრადი გამოყენებისა და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის დანერგვით. ეს ინვესტიციები შეიძლება შეესაბამებოდეს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის დაფინანსების მიმდინარე ვალდებულებებს.
- წყლის პოლიტიკის რეფორმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისთვის წყლის ფასწარმოქმნაში, წყლის დაზოგვის წახალისების მიზნით, ადამიანისთვის წყლის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი სიკეთეების შესანარჩუნებლად წყლის რისკებისა და ზემოქმედების შეფასების ეფექტური მექანიზმების დანერგვა და მავნე სუბსიდიების აღმოფხვრა.
- წყლის შეფასების გლობალური პოლიტიკისა და ჩარჩო პროგრამების მხარდაჭერა, რათა შესაძლებელი გახდეს წყლის, როგორც ბუნებრივი აქტივის აღიარება და მართვა, ტრადიციული ფინანსური აქტივების გამოყენებასთან ერთად, როგორც ერთ-ერთი მექანიზმისა, რომელიც საშუალებას მისცემს კერძო სექტორს მეტად დააფასოს წყლის რესურსები.

3. ზუსტ მონაცემებზე დია წვდომის უზრუნველყოფა

- მონიტორინგის სისტემების გაძლიერება წყლის რესურსების მონაცემთა ცენტრალიზებული დია ბაზისა და საინფორმაციო პლატფორმების შექმნით, რათა მაღალი ხარისხის ყველა ლოკალური მონაცემი (რაოდენობა, ხარისხი, მდინარის დინება, მიწისქვეშა წყლები, მდინარესთან კავშირი, დაბინძურების დონე, მტკნარი წყლის ჰაბიტატის მოცულობა და eDNA) ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მხარისთვის ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე და შესაბამებოდეს გლობალურ პლატფორმებს.
- კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ წყალთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ინფორმაციის გამჟღავნების წახალისება, რაც მოიცავს წყლის ზეგავლენასა და მასზე დამოკიდებულებას. ამის შედეგად, წყლის მდგრადი მართვის გასაუმჯობესებლად, ჩატარდება დონისძიებები რისკების შესამცირებლად. გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს დეტალებს წყლის გამოყენებაზე (წყლის აღება და მოხმარება), დაბინძურებაზე, ეკოსისტემის დაცვის ძალისხმევაზე, წყალთან დაკავშირებული საკითხების მართვაზე და საჯარო პოლიტიკის ჩართულობაზე წყლის რესურსების მდგრად მართვასთან დაკავშირებული შედეგების მისაღწევად.
- მე-6 მიზნის განხორციელების პროგრესის შეფასება და ბიზნეს-საზოგადოების ჩართულობა წყლის რესურსების მართვის პროგრესის შეფასებაში. მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რის შედეგადაც შეიქმნება ერთობლივი სამოქმედო გეგმები.

- წყლის ყველა მომხმარებლის ანგარიშვალდებულების გაძლიერება გამჭვირვალე მონიტორინგისა და მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშგების გზით, რაც ჩართავს ნებისმიერ შეხედულებაზე რეაგირების მექანიზმებს და შექმნის პირობებს წყალთან დაკავშირებული კანონების ეფექტური განვითარებისა და აღსრულებისთვის თანაბარი სამოქმედო პირობების ეფექტიანად უზრუნველსაყოფად.

მთავრობის ძირითადი სადემონსტრაციოქმედებები წყლის რესურსების გაუმჯობესებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოიცავს:

4. ინოვაციის ხელშეწყობი ჩარჩო პროგრამების მობილიზება

- წყლის ტექნოლოგიებში ინოვაციების (წყლის ცირკულაციის მართვისა და ბუნებრივი გადაწყვეტილებების ჩართვით), დაფინანსების სქემების, მონაცემთა შეგროვებისა და გავრცელების, საოპერაციო პროცედურების, წარმოების პროცესებისა და მომსახურების მხარდაჭერა.
- წყლის ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაციფრულების ხელშეწყობა წყლის რესურსების გამოყენების ეფექტურობის, საქმიანობისა და ტექნიკური მომსახურების, შევსებისა და წყალზე, სანიტარულ და ჰიგიენურ სერვისებზე საიმედო ხელმისაწვდომობის ოპტიმიზაციის მიზნით, ყველა თემისა და ეკოსისტემის მხარდასაჭერად.
- ადგილობრივი სამეწარმეო ეკოსისტემების მხარდაჭერა. მეწარმეობის განათლებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს სამეწარმეო ეკოსისტემების ზრდას უფრო მრავალფეროვანი და ინკლუზიური წყლის სერვისებისთვის.

5. დაფინანსების მექანიზმების გაფართოება და შესაძლებლობების განვითარება

- საჯარო საინვესტიციო პოლიტიკისა და სახელმძღვანელო მითითებების გადახედვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ წყლის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი გარემო და ტერიტორიები.
- წყლის უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილებებში ფინანსური ინვესტიციების ზრდის წახალისება მრავალმხრივი საფინანსო მექანიზმების შექმნითა და საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდის წახალისებით, კაპიტალის ბაზრების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი ინვესტიციების ჩართულობას და იმავდროულად იცავს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების წყლის რესურსების მომსახურებას.
- ინვესტიციების დანერგვა ეკოსისტემური სერვისების ბაზრებზე (მიზანი 6.6) სათანადო დებულებებით, სახელმძღვანელო მითითებებით და განსაზღვრული კრიტერიუმებით, რათა კერძო სექტორს ჰქონდეს რწმენა, რომ მისი სახსრები ადეკვატურად და წყლის უსაფრთხოების მისაღწევად დაიხარჯება.

6. კოლექტიური მოქმედების სიძლიერის გამოყენება

. კოლექტიური მოქმედებების წახალისება, რომელიც აერთიანებს აუზებში კერძო სექტორის ინდივიდუალურ წვლილს სამთავრობო მხარდაჭერით, მულტისექტორული თანამშრომლობის პოლიტიკისა და გაუმჯობესების ღონისძიებების მხარდასაჭერად რესურსების გამოყოფით.

- კოლექტიური დაფინანსების მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც მასშტაბის ზრდისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის როლს შეასრულებენ. ეს თანხები შეიძლება დაეხმაროს ინვესტიციების მიმართვას მრავალი გარემოსდაცვითი მიმართულებისკენ როგორც ბუნებრივი კონსერვაცია, წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობა, წყლის მართვასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების გაერთიანება და სანდო სამეცნიერო მონაცემების მიწოდების გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივება.
- ბუნებრივი ბარიერების მოხსნის წახალისება, რათა ხელი შეუწყოს კოორდინაციას ისეთ სექტორებს შორის, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ფინანსები, ენერჯეტიკა, დაგეგმვა, კერძო დაწესებულებები და არასამთავრობო ორგანიზაციები. გაეროს სააგენტოები შეიძლება იყოს განსაკუთრებით სასარგებლო, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს საზღვრებს (ანუ ტრანსსასაზღვრო აუზებს).

გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი



ადამიანის უფლებები

- 1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს;
- 2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.



შრომითი უფლებები

- 3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შერეობისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ;
- 4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა;
- 5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა;
- 6 უნდა გამოირიცხოს დისკრიმინაცია და საქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.



გარემოს დაცვა

- 7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოს დაცვითი გამოწვევებისადმი;
- 8 საკუთარ თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას;
- 9 უნდა წახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.



კორუფციასთან ბრძოლა

- 10 ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

გაეროს გლობალური შეთანხმების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური ინიციატივა, რომელიც კომპანიებს მოუწოდებს, თავიანთი ოპერაციები და სტრატეგიები შესაბამისობაში მოიყვანონ ათ პრინციპთან, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. ჩვენი სურვილია, ათი პრინციპის დაცვით, დავაჩქაროთ და გავაფართოოთ ბიზნესის გლობალური კოლექტიური პარტნიორობა და ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას პასუხისმგებლიანი კომპანიებისა და ეკოსისტემების მეშვეობით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ცვლილებებს. გაეროს გლობალური შეთანხმება, 160 ქვეყანასა და 62 ადგილობრივ ქსელში 18 000-ზე მეტი კომპანიისა და 3 800 არასამეწარმეო პირის გაწევრიანების შედეგად, მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივაა - ერთი გლობალური შეთანხმება, რომელიც აერთიანებს ბიზნესს უკეთეს მსოფლიოსთვის.

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ჩვენს ვებგვერდს UNGLOBALECOMPACT.ORG ან გამოიწერეთ [@globalcompact](https://twitter.com/globalcompact) სოციალურ მედიაში.



United Nations
Global Compact

© 18 July 2023. United Nations Global Compact 685
Third Avenue New York, NY 10017, USA

გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას მუშაობის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ, რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციას გარემოსა და განვითარების შესახებ და გაეროს კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ.